პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის, ნაძალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს უსახელო მონაკვეთებისთვის ზოოპარკის სანაპიროს სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის, ნაძალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს უსახელო მონაკვეთებს მიენიჭოს ზოოპარკის სანაპიროს სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

1:20,000
X=486756 Y=4620521
ზოოპარკის სანაპირო
X=490277 Y=4617779

10/03 253 2240-03

ა.(ა).ი.პ
თბილისის ზოლოგიური პარკი
მ. კოსტავას ქ.64
0171 თბილისი, საქართველო
ტელ. (+995 32) 221-30-50
ელ.ფოსტა:ZOO@ZOO.GE

TBILISI ZOO
KOSTAVA ST. 64
0171 TBILISI, GEORGIA
TEL. (995 32) 221-30-50
E-MAIL:ZOO@ZOO.GE

წერილის ნომერი: **81-01253143320**
თარიღი: **10/11/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,
ა(ა)იპ ,,თბილისის ზოოლოგიურ პარკს" (ს/კ: 404902414) ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 01 ივლისის #19.39.801 დადგენილებით უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 30 წლით გადმოცემული აქვს ქ. თბილისში ხეხილ სანერგე მეურნეობაში (უძრავი ქონების ს/კ: 81.21.04.669) მდებარე 477,840 კვ.მ მიწის ნაკვეთი.
ფაქტობრივად ქ. თბილისში კოსტავას ქუჩა #64-ში მდებარე ზოოლოგიური პარკის გადატანა ხდება ხსენებულ ტერიტორიაზე, რისთვისაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და ვინაიდან, მისასვლელ გზას არ აქვს მინიჭებული ქუჩის სახელი და ნომერი, გვიძნელდება კონკრეტული მისამართის მითითება, მათ შორის ტენდერში მონაწილე სამშენებლო კომპანიებისთვისაც. ტერიტორიულად კი, მითითებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხუდადოვის ქუჩის ბოლოში არსებული წრის მოპირდაპირე მხარეს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენდამი დაქვემდებარებულ სამსახურებს დაავალოთ განიხილონ წერილში მითითებული საკითხები და ხსენებულ ტერიტორიაზე მისასვლელ გზას მიანიჭოს ქუჩის სახელი და ნომერი.

დანართი 3 (სამ) ფურცლად.

პატივისცემით,
ზურაბ გურიელიძე

ზურაბ გურიელიძე

ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0326021118**
თარიღი: **21/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის დირექტორის ზურაბ გურიელიძის 2025 წლის 18 ნოემბრის საქმე #10/032532240-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ე.წ. ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ ზოოლოგიურ პარკამდე მისასვლელი გზის სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ თბილისის ზღვის სანაპიროს მონაკვეთის (ხუდადოვის ქუჩიდან ვიქტორ კუპრაძის ქუჩამდე) სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ზოოპარკის სანაპიროს სახელის მინიჭების მიზნით) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი .

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01260231747**
თარიღი: **23/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 21.01.2026 წლის # 03-0326021118 (21.01.2026წ. #17-01260213728-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი